სამაგისტრო პროგრამა

1. საქართველო და გარე სამყარო ევროპის "შექმნა" და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები

Georgia and the Rest of the World – Making of Europe and Historical Forms of the European Integration

კურსი ეთნოკულტურულ სისტემებად დიფერენცირებული ისტორიების სინთეზის პრეზენტაციაა აქცენტით საქართველოზე, როგორც ევროპის საინტეგრაციო ზონის პერმანენტულ სუბიექტზე. ევოლუცია საბაჟო სისტემით დაცული კონკრეტული ეკონომიკური სისტემის საინფორმაციო პერსპექტივების რეალიზაციაა, კონკრეტული ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოთი დეტერმინირებული. მაგრამ ამ პერსპექტივების სრული რეალიზაცია შეუძლებელია ისეთი დამცავი მექანიზმის გარეშე, როგორიც არის საინტეგრაციო ზონა და ზონალური თავდაცვა. აქ პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვას რა არის ევროპა; იყო თუ არა რომის იმპერია "ევროპის შეერთებული შტატები"; ბიზანტიური "თანამეგობრობა" აღმოსავლეთ ევროპული საინტეგრაციო ზონის პროტოტიპი. ინტერკულტურული სინთეზი, რომლესაც კურსი სთავაზობს სტუდენტებს, საფუძველს წარმოადგენს დღევანდელი პროევროპული ხედვის ფორმირებისთვის.

2. ქართული იდენტობის ისტორია I

History of Georgian identity

კურსის ფარგლებში მაგისტრანტს განემარტება ნაციის ინტერპრეტაციის ეთნოსიმბოლისტური მიდგომის არსი. გაეცნობა ქართული იდენტობის განვითარების უმთავრეს ეტაპებს. მიაწვდის ამომწურავ ინფორმაციას ორი უმთავრესი იდენტობრივი მარკერის – თვითსახელწოდებისა და ენობრივი მარკერის შესახებ. აჩვენებს ისტორიული რეპრეზენტაციისათვის სოციალური თეორიის გამოყენების შესაძლებლობასა და კვლევის კონკრეტულ ამოცანათა განსაზღვრისათვის ამოსავალი თეორიული პრინციპების გადამწყვეტ მნიშვნელობას.

3. ქართული იდენტობის ისტორია 2

History of Georgian identity 2

სალექციო კურსის ფარგლებში მაგისტრანტი გაეცნობა ქართული იდენტობის ისტორიის უმთავრეს ფაქტებს, კერძოდ, ისეთი იდენტობრივი მარკერების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა რელიგიური მარკერი, ისტორიული მახსოვრობა, მიმართება "მნიშვნელოვან სხვებთან", ქართული იდენტობის საკრალური საფუძვლები, ნაციონალიზმის უნივერსალიების გამოვლინება ქართულ სინამდვილეში.

4. პროფესიული დახელოვნება ისტორიის მეცნიერებაში

Professionalizing in History Discipline

კურსის ფარგლებში მაგისტრანტი გაიღრმავებს ისტორიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, რაობის გაგებას. მას განუვითარდება დარგის სპეციალისტისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. კურსს აქვს სამი ფოკუსი: ისტორიის სოციალური ფუნქცია და ისტორიული შემეცნების სპეციფიკა, ისტორიული რეპრეზენტაციის ისტორია, ისტორიის დარგში პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები.

5. საქართველო ანტიკურ ხანაში(ძვ. წ. VI ახ. წ. III სს.)

Georgia in Antiquity (the 6th c. B.C. – 3rd c. A.D.)

საგანი კონკრეტული ეთნოკულტურული და ქრონოლოგიური ჩარჩოებით (ძვ. წ. VI ს.-ახ. წ. III ს.) დეტერმინირებული ისტორიული საინფორმაციო კომპლექსია შემდეგი დონეების სინთეზით ა) წყაროების ფიქსაცია; ბ) წყაროებით მანიპულაციის მეთოდიკის პრეზენტაცია; გ) ამის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი ისტორიის (კონსტიტუციური და ინსტიტუციური მოწყობა, სოციალური ურთიერთობები, ეკონომიკა და ფინანსები, საგარეო-პოლიტიკური დამხრობა, სტილისტური კონცეფციები, რელიგია, დამწერლობის და განათლების სისტემები, და აშ.) გადმოცემა; დ) ზოგადი ფორმულების და მოდელების ჩვენება მაგ. პერიოდიზაციის, საინტეგრაციო მიმართებების, ინტერკულტურული დიალოგის და აშ. საგნის შიგნით არსებული კვლევის პერსპექტიული პრობლემების მოხაზვა სტუდენტს გაუადვილებს შესაბამისი და, აგრეთვე, პერსპექტიული საკვალიფიკაციო ნაშრომების თემატიკის შერჩევას. ელინურ-რომაული სამყარო ევროპის საინტეგრაციო ზონის დასაბამია. აქ საქართველოს (კოლხეთი/ლაზიკა და ქართლი/იბერია) ინტეგრირების მაღალი ხარისხის დემონსტრაცია აქტუალურია თანამედროვე პოლიტიკური პრიორიტეტების შემუშავებისთვის.

6. ანტიკური (ბერძნულ-რომაული) წყაროები საქართველოს შესახებ

Antique (Graeco-Roman) Sources about Georgia

საგანი ბერძენი და რომაელი ავტორების იმ ცნობების წარმოდგენას და კომენტარს ისახავს მიზნად, რომლებიც საქართველოს (კოლხეთი/ლაზიკა და ქართლი/იბერია) შეეხება. გამომდინარე იქიდან, რომ ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის ქართული წერილობითი წყაროების დოკუმენტური ფიქსაცია შუა საუკუნეებში რეალიზდა, სინქრონული საისტორიო ნარატიული წყაროს ფუნქცია ანტიკურ (ბერძნულ-რომაულ) მწერლობას ხვდა წილად. "ქართლის ცხოვრებასთან" მიმართებით და ქართლის (იბერიის) ისტორიის რეკონსტრუქციისთვის ის მაკონტროლებელი მასალაა; დასავლეთ საქართველოსთვის კი ძირითადი. კონკრეტული საგნის სინქრონიზაცია იმავე მოდულის სხვა საგანთან საქართველო ანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VI ს.-ახ. წ. III ს.) ეფექტური აპრობირებული მეთოდია.

7. შუა საუკუნეების ქართული დიპლომატიკა

Georgian Medieval Diplomatic

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან ქართულ დოკუმენტურ საისტორიო წერილობით საბუთებს; დიპლომატიკას, როგორც წყაროთმცოდნეობითი დარგის სპეციალური დისციპლინის დახასიათებას, ქართული დიპლომატიკური ძეგლების ფონდის მიმოხილვას, ქართული საბუთების აღმნიშვნელი ტერმინების შესწავლას დროის სხვადასხვა მონაკვეთში, ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ძეგლების დახასიათება-შესწავლას. ისწავლება ქართული ისტორიული საბუთების დიპლომატიკური ანალიზი: სამეფო საბუთები, კერძო სამართლის აქტები, საეკლესიო საბუთები, მინაწერი ისტორიული საბუთები, ქართული სამეფო-სამთავროების საბუთები, მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, სასისხლო საბუთები და ნატყუარი დიპლომატიკური ძეგლების პრობლემა; ქართულ-ბიზანტიურ-სომხური შედარებითი დიპლომატიკა. კურსის მოიცავს V-X სს. (ეპიგრაფიკულ) და XI-XV სს. დიპლომატიკური ძეგლების შესწავლას.

8. საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ისტორია IV-XVIII ს.ს.

Social-Economic History of Georgia in 4th-18th cc.

სალექციო კურსის ფარგლებში ისწავლება სოციალ–ეკონომიკური ისტორიის კუთხით ფეოდალიზმის განვითარების ეტაპები და ამასთან დაკავშირებით საზოგადოების განვითარების პერსპექტივები. ქართული ნარატიული და სამართლის ძეგლების ანალიზის შედეგად მაგისტრანტი შეისწავლის ქართული ფეოდალური სისტემის ხასიათსა და საზოგადოებრივი წრეების ადგილს ქართულ ფეოდალურ სისტემაში.

9. ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქართული ნარატიული წყაროები (”მოქცევაჲ ქართლისაჲ” და “ქართლის ცხოვრება”)

Narrative Sources (Conversion of Kartli and Life of Kartli) of Ancient and Medieval Georgian History

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტი შეისწავლის შუასაუკუნოვანი საქართველოს ისტორიის ძირითად ნარატიულ წყაროებს **(”მოქცევაჲ ქართლისაჲ” და “ქართლის ცხოვრება”).** აღნიშნული წყაროები მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს საქართველოს ისტორიის შესახებ. ამიტომ მათი დეტალური გაცნობა და დამუშავება, კრიტიკულად გააზრება მაგისტრანტს საშუალებას მისცემს, სხვადასხვა პრობლემები ახლებურად გაიაზროს.

10. საქართველოს პოლიტიკური ისტორია გვიანი ანტიკურობიდან ახალი დროის დასაწყისამდე I

Political History of Georgia from Late Antiquity to the Beginning of Modernity I

სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან საქართველოს პოლიტიკური ისტორიის (საშინაო ვითარება და საგარეო ურთიერთობები) საკითხებს ფეოდალიზმის ხანაში (IV-XVIII სს.), საქართველოს გაქრისტიანებიდან (IV ს-ის 30-იანი წწ.) სახელმწიფოებრიობის გაუქმებამდე (XVIII-XIX სს-ის მიჯნა).

11. საქართველოს პოლიტიკური ისტორია გვიანი ანტიკურობიდან ახალი დროის დასაწყისამდე II

Political History of Georgia from Late Antiquity to the Begining of Modernity II

კურსი წარმოადგენს ანალიზსა და მრავალფეორვან სპეციალურ ლიტერატურაზე დაფუძნებულ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის (საშინაო ვითარება და საგარეო ურთიერთობები) რეპრეზენტაციას მეცამეტე–მეთვრამეტე საუკუნეებში. კერძოდ, ბაკალავრიატში სწავლის დროს გავლილი ყველა საკითხი ხელახლა ექცევა

სტუდენტის ყურადღების ცენტრში და წყაროებისა და უახლესი სპეციალური ლიტერატურის დამუშავებით სტუდენტის ცოდნა ღრმავდება სწავლების სამაგისტრო დონის შესატყვისად.

12. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა (უძველესი დროიდან მე-18 საუკუნემდე)

Central and Local Governance in Georgia from Ancient Times to 18th Century (including)

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეაცნობიან, თუ როგორი ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის სისტემა არსებობდა საქართველოში საუკუნეების განმავლობაში; როგორ იყო ორგანიზებული ცენტრალური მმართველობა კოლხეთისა და ქართლის სამეფოებში, VIII-IX საუკუნეებში ჩამოყალიბებულ სამეფო–სამთავროებში, ერთიან ქართულ მონარქიაში; ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებსა და სამცხის სამთავროში.

13. საქართველოს ფეოდალური საგვარეულოები ისტორია

History of Georgian Feudal Families

სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია ალტერნატიული პერსპექტივის ჩვენება: საქართველოში არსებული ცალკეული საგვარეულოების ისტორიის შესწავლა. მაგისტრანტი გაანალიზებს ცალკეული ფეოდალური საგვარეულოების როლს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ ცხოვრებაში.

14. სამონეტო საქმე და ფულის მიმოქცევა ანტიკური ხანის საქართველოში

Money Issues and Circulation in Georgia in Antiquity

ქართული მონეტები ავსებს, აზუსტებს, ზოგჯერ კი კარდინალურად ცვლის საქართველოს ისტორიის რიგ პრინციპულ მომენტებს. ქართული ნუმიზმატიკა კი მთელ ამ მასალას აკადემიური კვლევის ობიექტად აქცევს. ანტიკური პერიოდი ფულადი სისტემების პანევროპული უნიფიკაციის პერიოდია. ტიპოლოგიურადაც, უნივერსალიზაციისკენ სწრაფვა ევროპის ერთიანობის იდეის ნუმიზმატიკური ასახვაა. კოლხეთი და იბერია ამ პროცესების მონაწილენი იყვნენ.

15. ძველი ქართული საერო და საეკლესიო სამართლის ძეგლები

Old Georgian Secular and Ecclesiastic Acts

სასწავლო კურსის შესწავლა მაგისტრანტს აძლევს ცოდნას ქვეყნის საერო და სასულიერო საკანონმდებლო სფეროს ისტორიის განვითარების შესასწავლად. კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საკანონმდებლო ძეგლების სტრუქტურას, მის მნიშვნელობას როგორც ქართული სამართლის ისტორიის, ისე ქვეყნის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური საკითხების შესასწავლად.

16. საქართველოსა და ევროპის ქვეყნების ურთიერთობები ჯვაროსნულ ხანაში

The Relationship of Georgia and European Countries in the Age of Crusades

სალექციო კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტს ეცოდინება ჯვაროსნული ეპოქის საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები. მაგისტრანტები შეისწავლიან ამ ურთიერთობების ამსახველ წყაროებს და გაანალიზებენ საქართველო–ჯვაროსნების საერთო პოლიტიკური მიმართულებების პერსპექტივებს. ეს ეხება არა მარტო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესებს საგარეო უსაფრთხოების თვალსაზრისით, არამედ წმინდა მიწაზე ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო და სასულიერო ცენტრების არსებობის საკითხებს.

17. საქართველო, ევროპა და მონღოლები (XIII-XIV სს-ში)

Georgia, Europe and Mongolians (13th - 14th cc.)

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტები ახლებურად გაიაზრებენ საქართველოს, მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ისტორიას XIII-XIV სს-ში. ასევე, „მონღოლობის“ არსს. ახლებურად იქნება გააზრებული ქართული ნარატიული წყაროების (თამარის ისტორიკოსები, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ე. წ. ჟამთააღმწერლის ასწლოვანი მატიანე „ახალი ქართლის ცხოვრების“ მატიანეები) იდეოლოგია და მათ მიერ მოწოდებული ფაქტობრივი მასალა. ცალკე იქნება გაანალიზებული ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების შესაბამისი ადგილები და ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიის“ ღირებულება, XIII-XIV სს. ისტორიის რეკონსტრუქციისათვის.

18. ქალაქები შუა საუკუნეების საქართველოში, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში (შედარებითი პერსპექტივა)

Urban Centers in Medieval Georgia, Europe and Near East (Comparative Perspective)

კურსის გავლის შედეგად მაგისტრანტს ეცოდინება ქალაქისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლის მნიშვნელობა მთელი რიგი პოლიტიკური, სოციალური, სამართლებრივი, კულტურული მოვლენების გააზრებისთვის ქვეყნის ისტორიის განვითარების პროცესში. საქართველოს, ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ქალაქების მახასიათებლების მაგალითზე გაიაზრებენ შედარებითი ანალიზის მეთოდის მნიშვნელობას.

19. საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის ეპიგრაფიკული წყაროები
The Epigraphic Sources of Medieval Georgian History

სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან ფეოდალიზმის ხანის უმ-თავრეს ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს, წარწერების დათარიღების მეთოდებსა და მათ ყოველმხრივ წყაროთმცოდნეობით და პალეოგრაფიულ ანალიზს.

20. საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა
(IV საუკუნიდან - XV საუკუნის შუახანებამდე)
Georgian - Byzantine Relationship (from 4th to middle of 15th cc.)

სასწავლო კურსის შესწავლა მაგისტრანტს საშუალებას მისცემს უკეთ გაანალიზოს და გააცნობიეროს ბიზანტის და საქართველოს ურთიერთობის მნიშვნელობა. განხილული იქნება ამ ურთიერთობის ყველა ასპექტი. ბიზანტია-საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის საკითხები; თუ რა ფორმით მიმდინარეობდა ქართველების ინტეგრირება ბიზანტიის სახელმწიფო აპარატში.

21. ქართული დიპლომატიის ისტორია IV-XVIII სს

History of Georgian Diplomacy 4th - 18th cc.

მაგისტრანტები შეისწავლიან საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიური პრაქტიკის საკითხებს. საქართველოს დიპლომატიური ისტორიის

შესწავლა მოითხოვს საკითხისადმი საგანგებო, კომპლექსურ მიდგომას წყაროების მთელი იმ არსენალის გამოყენებით, რომელსაც კავშირი აქვს დიპლომატიასთან.

22. საქართველო და ქართველები სომხური თხრობითი წყაროების მიხედვით (V-XVIII სს)

Georgia and Georgians According to Armenian Narrative Sources (5th - 18th cc.)

კურსის გავლის შედეგად მაგისტრანტებს ეცოდინებათ სომხურ წყაროთა მნიშვნელობა სომხეთ-საქართველოს ისტორიულად მჭიდრო პოლიტიკურ-კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლისას. საქართველოს ისტორიისთვის სომხური წყაროების მნიშვნელობა განაპირობა სომეხ ისტორიკოსთა ინტერესმა მეზობელი ხალხებისადმი, რომელთაც ისინი მრავალი კუთხით აღწერდნენ. განსაკუთრებით საინტერესოა კურსის ფარგლებში წარმოდგენილი სომხურ და ქართულ წყაროთა მონაცემების შედარებითი ანალიზი, რაც სტუდენტში ისტორიის დარგში კვლევის უნარის განვითარებას უწყობს ხელს.

23. საქართველოს საეგზარქოსოს ისტორია (1811-1917 წწ.) და რელიგიური კონფესიები XIX საუკუნის და XX ს. დასაწყისის საქართველოში

History of Georgian Egsarchates (1811-1917) and Religious Confessions in 19th and beginning of 20th cc.

მაგისტრანტები კურსის გავლის შედეგად შეისწავლიან XIX საუკუნის ეკლესიის ისტორიას და რუსეთის რელიგიურ პოლიტიკას ამ საუკუნის საქარველოსა და საკუთრივ რუსეთში. ამავე დროს, მაგისტრანტები გაეცნობიან სხვა რელიგიების ისტორიას ამ პერიოდის საქართველოში.

24. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა (XIX-XX საუკუნეები)

Central and Local Governance in Georgia (19th - 20th cc.)

კურსის ფარგლებში ისწავლება XIX-XX სს-ის საქართველოს პოლიტიკური რუკის, ადმინისტრაციული დაყოფისა და ცვლილებების, ხელისუფლების შტოთა, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ისტორიის ამსახველი სამართლებრივი მასალა.

25. საქართველო და დასავლეთი

Georgia and the West

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები ეცნობიან XIX-XXI საუკუნეების საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიას. სწავლების პროცესში სტუდენტების ყურადღება ექცევა ორი თეზისის დასაბუთებას. ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიის რეალობა ქართველი ხალხისათვის წარმოადგენდა აზიურ-მუსლიმური გარემოცვიდან თავდახსნისა და მასთან შედარებით პროგრესული ყოფითი ფორმების დამკვიდრების საშუალებას. მეორე მხრივ, ქართულ საზოგადოებაში სულ უფრო მტკიცდებოდა აზრი, რომ რუსულ რეალობასთან შედარებით ბევრად უფრო პროგრესული იყო ევროპული კულტურულ-ეკონომიკური, იურიდიული, სახელმწიფოებრფივ-პოლიტიკური თუ სხვა ფორმების დამკვიდრება.

26. XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის წყაროები და ისტორიოგრაფია

Sources and Historiography of 19th Georgian History

სასწავლო კურსის ითვალისწინებს ახალი და უახლესი პერიოდის საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტისათვის. სწავლის პროცესში გათვალისწინებული იქნება მუშაობა არქივში, ბიბლიოთეკაში. წყაროების შესწავლა ითვალისწინებს საარქივო თუ სხვა მასალის მოპოვებისა და გამოყენების ჩვევების გამომუშავებას. მაგისტრანტები შეისწავლიან XIX საუკუნის ნებისმიერი პრობლემის შესახებ ძირითად წყაროებს, მათ რაობას, თავისებურებებს, მოძიება-მოკვლევის გზებს, შენახვის ადგილს და ა. შ.

27. XX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროები და ისტორიოგრაფია

Sources and Historiography of 20th - 21th cc Georgian History

მაგისტრანტები შეისწავლიან XX-XXI საუკუნის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ არსებულ წყაროებს სხვადასხვა გზით: წყაროს შინაარსის გადმოცემით; დოკუმენტური მასალის უშუალოდ გაცნობით. ეს დამოკიდებული იქნება წყაროს მოცულობაზე, მისაწვდომობაზე, მნიშვნელობაზე. მთავარია, რომ გაცნობა-შესწავლის შემდეგ მაგისტრანტმა შეძლოს მისი დამუშავება და გამოყენება.

28. ნაციისა და ნაციონალიზმის ფენომენები თანამედროვე დასავლურ დისკურსში
Nation and Nationalism in Current Scholarly Discource

მაგისტრანტები შეისწავლიან აღნიშნულ საკითხებზე თანამედროვე სამეცნიერო დისკურსის ძირითად ტენდენციებს, სოციალური თეორიის ცნობილი წარმომადგენლების ნაშრომებს, თეორიის მნიშვნელობას კონკრეტული ისტორიული კვლევებისათვის; ჩამოუყალიბდებათ ისტორიული კვლევისათვის თეორიული ნაშრომთა შერჩევისა და მათი კრიტიკული ანალიზის ჩვევა.

29. საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ისტორია (XIX-XX სს.)
The Social and Economical History of Georgia (XIX-XX cc.)

კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტებს შეეძლებათ შემდეგი პრობლემების მეცნიერული გააზრება: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური წყობა XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში; ცვლილებები ქართველი ერის სოციალურ სტრუქტურასა და ეკონომიკურ განვითარებაში რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ (XIX საუკუნის დასაწყისიდან); საქართველოს ეკონომიკის რუსეთის ეკონომიკაში ინტეგრაციის ეტაპები და საბოლოო შედეგი (XIX საუკუნის დასაწყისი _ 1917 წელი);
საქართველოს სოციალური და ფინანსურ-ეკონომიკური სისტემა (1918-1991 წწ.)
საქართველოს თანამედროვე სოციალური და ფინანსურ-ეკონომიკური სისტემა.

30. მოდერნული ელემენტები გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სახელმწიფოებრივ მმართველობაში
Modern Elements in State Governance of the Late Feudal Age Georgia

სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები კონკრეტული ისტორიული ფაქტების საშუალებით გაეცნობიან მოდერნის ეპოქის დასაწყისის საკითხებს საქართველოში. კურსის გავლა სტუდენტს საშუალებას მისცემს უკეთ გაანალიზოს აღნიშნული ეპოქის საქართველოს სამეფო-სამთავროთა სახელმწიფო მმართველობის ფუნდამენტური მახასიათებლები. სალექციო კურსი მოიცავს არა მარტო სახელმწიფო სამართლის

საკითხებს, არამედ სახელმწიფო ეკონომიკის ისტორიას და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას.

31. დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკა

External Policy of the Independent Georgia

სასწავლო კურსი მოიცავს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების (საელჩოები, საკონსულოები, კულტურული წარმომადგენლობები, დიასპორული ცენტრები) ისტორიას, საქართველოს ურთიერთობებს საერთაშორისო სამთავრობათაშორისო და არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციებთან, ურთიერთობებს ცალკეულ ქვეყნებთან.

32. საქართველო საბჭოთა იმპერიაში

Georgia within the Soviet Empire

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საბჭოთა იმპერიაში საქართველოს სოციალ–ეკონომიკური, კულტურულ–პოლიტიკური განვითარების პროცესებს; გააცნობიერებენ საბჭოთა საზოგადოების, სახელმწიფო სისტემის, სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურის, საბჭოთა კულტურის სპეციფიკას.

33. ქართული ემიგრაციის და დიასპორების ისტორია (XIX-XX საუკუნეები)

History of Georgian Emigration and Diaspora (19th - 20th cc.)

მაგისტრანტები შეისწავლიან საქართველოს ამჟამინდელი სახელმწიფოს ფარგლებს მიღმა არსებული ისტორიული ქართული ტერიტორიების, იქ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობისა და მცხოვრები ქართველებისა თუ ქართველთა ჩამომავლების ისტორიას, პოლიტიკურ, ეთნიკურ თავგადასავალს (ტაო-კლარჯეთი ანუ თურქეთის საქართველო, ჰერეთი ანუ აზერბაიჯანის საქართველო, ფერეიდანი ანუ ირანის საქართველო). კურსი ითვალისწინებს, აგრეთვე, საქართველოდან სხვადასხვა დროს ემიგრირებული ან იძულებით გასახლებული კომპაქტურად მცხოვრები (ევროპაში, ამერიკასა და რუსეთში) ქართველების ისტორიის შესწავლას.

34. ისტორიული მეცნიერების განვითარება XIX საუკუნის საქართველოში

Georgian Historiography Development in the 19th century

სასწავლო კურსი მაგისტრანტს აძლევს ცოდნას ქართული ისტორიული აზრის განვითარების შესახებ მეცხრამეტე საუკუნეში. კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრეს წარმომადგენელებს, მათ ბიოგრაფიას, შემოქმედებას, ისტორიული რეპრეზენტაციის პროცესში გამოყენებულ კვლევით მეთოდებს, ქართველი ერის კონსოლიდების პროცესისათვის ნაციონალური ისტორიოგრაფიის ფორმირების მნიშვნელობის მაჩვენებელ ფაქტებს.

35. ქართული დიპლომატიის ისტორია მე–19–მე–21 საუკუნეებში
History of Georgian Diplomacy in 19th – 21th cc.

მაგისტრანტები შეისწავლიან საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიურ პრაქტიკას. საქართველოს დიპლომატიური ისტორიის შესწავლა მოითხოვს საკითხისადმი საგანგებო, კომპლექსურ მიდგომას წყაროების მთელი იმ არსენალის გამოყენებით, რომელსაც კავშირი აქვს დიპლომატიასთან.

36. ქართული ინტელექტუალიზმის ისტორია (პოლიტიკური თეორიები და იდეები საქართველოში. XIX-XXI სს)
Intellectual History of Georgia (social ideas and theories in 19th-21th cc)

კურსის ფარგლებში მაგისტრანტებს გაეცნობიან XIX-XX საუკუნეებში საქართველოში გავრცელებულ პოლიტიკურ მოძღვრებებსა და იდეოლოგიებს, მათ წარმოშობას, ჩამოყალიბებას, აღნიშნული თეორიული სისტემების ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობაში არსებობისა და ფუნქციონირების ისტორიას; როგორ განიხილავდნენ ზემოჩამოთვლილი მოძღვრებები ეროვნულ საკითხს; რა ადგილი უჭირავს ეროვნულ ღირებულებებს ქართული საზოგადოების განვითარების პროცესში; როგორი უნდა იყოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ეროვნული ღირებულებების შესაბამისობა.

37. პოლიტიკური პარტიების ისტორია საქართველოში (XIX საუკუნის დასასრული - XXI საუკუნის დასაწყისი}.

History of Political Parties in Georgia (end of 19th c. - beginning of 21th c.)

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან ქართული პოლიტიკური პარტიების ისტორიას. შესწავლილი იქნება ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, მისი მიმდინარეობები და პროგრამა. პოლიტიკური პარტიების აღმოცენება და მათი პროგრამები. კლასიფიკაცია ეროვნული და სოციალური ნიშნით. პოლიტიკური პარტიების ტაქტიკა ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა ეტაპზე. პარტიულისა და საერთო-სახელწიფოებრივის დაპირისპირება საქართველოში.

38. ქართული ეროვნული იდენტობის წრთობის პროცესი და სომხური ფაქტორი
Forging of Georgian National Identity and Armenian Challenge

მაგისტრანტებს შეისწავლიან ქართული იდენტობის განვითარების პრობლემებს; ქართველთა "მნიშვნელოვანი სხვების," ანუ სომხების, პერმანენტული გამოწვევის ამსახველი ისტორიის რეპრეზენტაციას; საქართველოს ისტორიის მაგალითზე განიმარტება ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესში მეზობელი ხალხის, როგორც მარკერის, მნიშვნელობა. უკვე ნაცნობი ფაქტების ახალ კონტექსტში წარმოდგენით სტუდენტს განუვითარდება სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული კითხვისა და წყაროების ახლებური ინტერპრეტაციის უნარი.

39. საქართველო საერთაშორისო პოლიტიკაში (1907-1922 წწ.)
Georgia in the International Policy (1907-1922)

მაგისტრანტები შეისწავლიან საქართველოს საგარეო პოლიტიკას მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულებში. კერძოდ, როდის, რა ვითარებაში იქცა საქართველოს პრობლემა რუსეთის იმპერიის საშინაო საკითხიდან საერთაშორისო საკითხად; რატომ ვერ შეუშალა ხელი რუსეთმა საქართველოს საკითხის საერთაშორისო საკითხად გადაქცევას; რა კუთხით დადგა საქართველოს საკითხი საერთაშორისო ურთიერთობებში; როგორი იყო ქართველ მოღვაწეთა პროგრამა საერთაშორისო ფორუმებზე; რა ეტაპები გაიარა პროდასავლური და პრორუსული ორიენტაციის დაპირისპირებამ საქართველოში.

40. ქართული პოლიტიკური აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დამდეგს (ილია ჭავჭავაძე. ნოე ჟორდანია. არჩილ ჯორჯაძე. იოსებ ჯუღაშვილი).

Georgian political views of the second half of the XIX century and early XX century. (Ilia Chavchavadze, Noe Zhordania, Archil Jorjadze, Josef Jugashvili).

 კურსის გავლის შედეგად მაგიტრანტები შეისწავლიან, თუ როგორ ვითარდებოდა ქართული პოლიტიკური აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დამდეგს. ამ მიზნის განსახორციელებლად კურსის ფარგლებში განიხილება შემდეგი საკითხები: რას წარმოადგენდა ეროვნული იდეოლოგია, საქართველოს ხსნის როგორი პროგრამა წამოაყენა ეროვნულმა პოლიტიკურმა აზრმა და როგორ ხდებოდა მისი ხორცშესხმა; რას წარმოადგენდა XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში დამკვიდრებული სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია, რას წარმოადგენდა ქართული სოციალიზმ-ფედერალიზმი და რა პერსპექტივა ჰქონდა მას საქართველოში.